# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 288

„14“ ივნისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ქუჩა კანდელაკი №2-ში მდებარე 2 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ირმა ღვინაშვილისთვის (პირადი №01006018823) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა №2-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით ირმა ღვინაშვილისთვის (პ/ნ. 01006018823) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის №24.892.1018 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ქუჩა კანდელაკი №2-ში მდებარე 2 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ირმა ღვინაშვილისთვის (პირადი №01006018823) გადაცემაზე, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე